

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის  
სხდომის  
ოქმი №3

ქ. ლაგოდეხი

2022 წლის 18 აპრილი

**სხდომის თავმჯდომარე** - კომისიის თავმჯდომარე - თამარი ნანობაშვილი;

**სხდომას ესწრებოდნენ:**

კომისიის წევრები: მაია სიუკაშვილი, ნონა ნატროშვილი, ნათია დათუკიშვილი, თინათინ ბიწაძე, თამარ მუმლაძე, მანანა გელაშვილი.

**მოისმინეს:**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის -პირველადი სტრუქტურულის ერთეულის ხელმძღვანელის ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსის მეორე ეტაპის გასაუბრების შესახებ.

კონკურსის მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე გადასული სამი კონკურსანტიდან, გასაუბრებაზე არ გამოცხადდა ორი კონკურსანტი: შოთა მაჭარაშვილი და დიმიტრი უჩანეიშვილი.

კომისიის წევრები გაესაუბრნენ კონკურსანტ თინათინ ჭანკოტაძეს.

კანდიდატმა ამომწურავად გასცა პასუხები კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

კანდიდატის სამუშაო გამოცდილება და მისი პროფესიული ცოდნა შეესაბამებოდა საკრებულოს აპარატის ვაკანტური თანამდებობისათვის დადგენილ სამუშაო აღწერილობას, სპეციალურ და დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

კომისიამ დადგინილი შეფასების ფორმის მიხედვით დადებითად (190 ქულით) შეაფასა კანდიდატი თინათინ ჭანკოტაძე.

**გადაწყვიტა:**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის -პირველადი სტრუქტურულის ერთეულის ხელმძღვანელის ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარადგინოს თინათინ ჭანკოტაძის კანდიდატურა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე

თამარი ნანობაშვილი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

მაია სიუკაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები:

ნონა ნატროშვილი

ნათია დათუკიშვილი

მანანა გელაშვილი

თამარი მუმლაძე

თინათინ ბიწაძე